

შპს ევროპის სასწავლო უნივერსიტეტის ბიბლიოთეკის დებულება

მუხლი 1. ზოგადი დებულებანი

- ა) ბიბლიოთეკა უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების – შპს ევროპის სასწავლო უნივერსიტეტის (შემდგომში - „უნივერსიტეტი“) საგანმანათლებლო დანიშნულების დახურული ტიპის სტრუქტურული ერთეულია, რომელშიც განთავსებულია დაწესებულების სტუდენტებისა და პერსონალისათვის განკუთვნილი დაწესებულების ბიბლიოგრაფიული ფონდი - სახელმძღვანელოები, დამხმარე და მეთოდური ლიტერატურა, ბეჭდვითი გამოცემები და სამეცნიერო კვლევითი ნაშრომები, აგრეთვე ისტორიული, მხატვრული, საინფორმაციო და სხვა სახის ლიტერატურული და საინფორმაციო მასალა;
- ბ) ბიბლიოთეკა მკითხველს აცნობს მომსახურების წესსა და კატალოგებით სარგებლობის პრინციპებს;
- გ) ბიბლიოთეკაში შესაძლოა მოეწყოს შეხვედრები, პრეზენტაციები, ლიტერატურული ნაწარმოებებისა და უნივერსიტეტის სტუდენტებისა და აკადემიური პერსონალის სამეცნიერო ნაშრომების განხილვა და სხვა სახის ღონისძიებები;
- დ) ბიბლიოთეკა თავის საქმიანობაში ხელმძღვანელობს "საბიბლიოთეკო საქმის შესახებ" საქართველოს კანონით, დაწესებულების შინაგანაწესით, ამ დებულებითა და დაწესებულებაში მოქმედი სხვა სამართლებრივი აქტებით;
- ე) ბიბლიოთეკას აქვს საკუთარი ბეჭედი.

მუხლი 2. ბიბლიოთეკის მიზანი, ამოცანა და ფუნქციები

- ა) ბიბლიოთეკის ძირითადი მიზანია დაწესებულების მისიის რეალიზაციის პროცესში მონაწილეობა და მისიაში ასახული ფასეულობების განვითარების ხელშეწყობა;
- ბ) ბიბლიოთეკის ამოცანას წარმოადგენს სტუდენტების და დაწესებულების პერსონალის, მოწვეული სპეციალისტების თეორიული და პრაქტიკული ცოდნის ამაღლება-გაღრმავების მიზნით შესაბამისი სამეცნიერო, სასწავლო და მეთოდური სახელმძღვანელოებით და სხვა სახის ლიტერატურით უზრუნველყოფა.
- გ) დაწესებულების ბიბლიოთეკის ფუნქციებია:
 - გ.ა) საბიბლიოთეკო ფონდების ორგანიზება, სისტემატური შევსება საგანმანათლებლო, სამეცნიერო ღირებულების მქონე ქართული და უცხოური გამოცემებით, მათი დაცვა და ხელმისაწვდომობის უზრუნველყოფა;
 - გ.ბ) მონაცემთა ბაზების შექმნა;
 - გ.გ) საზღვარგარეთის საბიბლიოთეკო ფონდების ხელმისაწვდომობის უზრუნველყოფა;
 - გ.დ) სამკითხველოებში საბიბლიოთეკო ფონდით სარგებლობის პირობების შექმნა;
 - გ.ე) საბიბლიოთეკო საქმიანობის კოორდინაცია კანონმდებლობით დადგენილი წესით;
 - გ.ვ) სხვა ქვეყნის საბიბლიოთეკო ორგანიზაციებთან და საგანმანათლებლო დაწესებულებებთან, საქართველოში მოქმედ ფონდებთან, საელჩოებთან და სხვა შესაბამის ორგანიზაციებთან თანამშრომლობა;
 - გ.ზ) ზრუნვა საბიბლიოთეკო კადრების კვალიფიკაციის ამაღლებისათვის;
 - გ.თ) საბიბლიოთეკო პროცესების საინფორმაციო და საკომუნიკაციო ტექნოლოგიებით სრულყოფა.

მუხლი 3. ბიბლიოთეკის უფლებამოსილება

- ა) ბიბლიოთეკას უფლება აქვს გაატაროს დებულებით გათვალისწინებული ზომები იმ პირთა მიმართ, რომლებიც არღვევენ ბიბლიოთეკით სარგებლობის წესებს ან მატერიალურ ზიანს აყენებენ ბიბლიოთეკის ქონებას;
- ბ) ბიბლიოთეკის ქონების და ფონდის დაცვა, მოვლა-პატრონობა სავალდებულოა ბიბლიოთეკის ყველა თანამშრომლისა და მკითხველისათვის;

- გ) ბიბლიოთეკა ვალდებულია უფასოდ მოემსახუროს მკითხველს და მიაწოდოს სრული ინფორმაცია საბიბლიოთეკო ფონდების შესახებ კატალოგების სისტემის ან საბიბლიოთეკო ინფორმირების სხვა ფორმით;
- დ) ბიბლიოთეკა ვალდებულია გაუწიოს მკითხველს კონსულტაცია ინფორმაციის წყაროების არჩევასა და ძიებაში;
- ე) ბიბლიოთეკა ვალდებულია შეისწავლოს ბიბლიოთეკის მომხმარებლის მოთხოვნები და სრულყოს ბიბლიოთეკით სარგებლობის წესები;
- ვ) ბიბლიოთეკა უზრუნველყოფს ბიბლიოთეკის ფონდში არსებული გამოცემების აღრიცხვას, შენახვასა და რაციონალურად გამოყენებას კანონით და ამ დებულებით გათვალისწინებული წესებით;
- ზ) ბიბლიოთეკა ამზადებს წინადადებებს ბიბლიოთეკის ფონდების განახლებაზე თანამედროვე ქართულენოვანი და უცხოურენოვანი ლიტერატურით;
- თ) ბიბლიოთეკის მიერ ლიტერატურის შექმნა უნდა დადასტურდეს შესაბამისი ანგარიშგაქტურით, ხოლო ბიბლიოთეკისთვის ლიტერატურის ჩუქების შემთხვევაში უნდა გაფორმდეს ჩუქების ხელშეკრულება ან/და მიღება-ჩაბარების აქტი;
- ი) საგანმანათლებლო პროგრამის დასრულების შემდეგ ან სტუდენტის სტატუსის სხვა საფუძველით შეწყვეტამდე, სტუდენტი ვალდებულია შეასრულოს ბიბლიოთეკის წინაშე არსებული ყველა ვალდებულება, რაც დასტურდება შემოვლის ბარათზე ბიბლიოთეკარის ხელმოწერით ბიბლიოთეკის მიმართ დავალიანების არარსებობის შესახებ. ასევე, დაწესებულების პერსონალისთვის, ასევე კონტრაქტით მოწვეული სხვა პირებისთვის, შრომითი ხელშეკრულების შეწყვეტისას საბოლოო ანგარიშსწორების განხორციელების წინაპირობას წარმოადგენს მათ მიერ ბიბლიოთეკის მიმართ არსებული დავალიანების აღმოფხვრა.

მუხლი 4. ბიბლიოთეკარი

1. ბიბლიოთეკას ხელმძღვანელობს ბიბლიოთეკარი, რომელსაც თანამდებობაზე ნიშნავს რექტორი და რომელიც თავისი საქმიანობით ანგარიშვალდებულია მის წინაშე.
2. ბიბლიოთეკართან შრომითი ურთიერთობა რეგულირდება საქართველოს შრომის კანონმდებლობით დადგენილი წესის შესაბამისად.
3. ბიბლიოთეკარი:
 - ა) წარმართავს ბიბლიოთეკის საქმიანობას;
 - ბ) პასუხისმგებელია ბიბლიოთეკის ქონების დაცვისა და მიზნობრივი გამოყენებისათვის;
 - გ) ატარებს სათანადო ღონისძიებებს ბიბლიოთეკის მატერიალურ-ტექნიკური ბაზის სრულყოფის, საბიბლიოთეკო ფონდების დაცვის, მკითხველთათვის აუცილებელი პირობების შექმნის მიზნით;
 - დ) ყოველი სასწავლო წლის ბოლოს წარუდგენს ანგარიშს რექტორს ბიბლიოთეკის საქმიანობის შესახებ;
 - ე) უზრუნველყოფს მკითხველთა მომსახურებას ბიბლიოთეკის ფონდებით, კატალოგებით, კარტოთეკებით და სხვადასხვა სახის ინფორმაციით;
 - ვ) ახორციელებს საბიბლიოთეკო ფონდისათვის განკუთვნილი მასალის მიღებას, დამუშავებას და მათ აღრიცხვას ელექტრონულ ან/და ბეჭდურ კატალოგებში;
 - ზ) უზრუნველყოფს პერიოდულ გამოცემათა დამუშავებას და აღრიცხვას;
 - თ) აწარმოებს სარეგისტრაციო ჟურნალს;
 - ი) კონსულტაციას უწევს მკითხველებს ბიბლიოთეკით სარგებლობის წესების თაობაზე.
4. ბიბლიოთეკარს შეიძლება ჰყავდეს ასისტენტი/ასისტენტები, რომელიც ახორციელებს ამ მუხლის მე-3 პუნქტით განსაზღვრული კომპეტენციის შესაბამის ფუნქციებს ბიბლიოთეკარის დავალებით.

მუხლი 5. მკითხველის უფლებები

- ა) ბიბლიოთეკის მკითხველია:
 - სტუდენტი;

- დაწესებულების პერსონალი;
- დაწესებულებაში შრომითი ხელშეკრულების საფუძველზე მოწვეული პირი;
- სხვა პირები, თუ ისინი სათანადო ხელშეკრულების საფუძველზე მონაწილეობენ დაწესებულებაში რაიმე სასწავლო პროგრამის/კურსის გავლაში.

ბ) მკითხველს უფლება აქვს შეუზღუდავად ისარგელოს ბიბლიოთეკის ნებისმიერი მომსახურებით, მათ შორის ელექტრონულ მატარებელზე არსებული რესურსით, ამობეჭდოს ელექტრონული წიგნებიდან სასურველი ინფორმაცია ბიბლიოთეკის სამკითხველოს მუშაობის საათებში;

გ) მკითხველს უფლება აქვს უფასოდ მიიღოს დროებით სარგებლობაში სხვადასხვა საბიბლიოთეკო მასალა სამკითხველო დარბაზში სამუშაოდ ან სამკითხველო დარბაზიდან გატანის უფლებით;

დ) სამკითხველო დარბაზიდან საბიბლიოთეკო მასალის გატანაზე ნებართვის შეზღუდვა დასაშვებია ბიბლიოთეკარის გადაწყვეტილებით, თუ ბიბლიოთეკის ფონდში მკითხველისათვის დროებით სარგებლობაში გადასაცემი ერთეულის ეგზემპლარების რაოდენობა ორზე ნაკლებია; ამ შემთხვევაში საბიბლიოთეკო ერთეულით სარგებლობა დაიშვება მხოლოდ სამკითხველო დარბაზში. ორი ან ორზე მეტი ეგზემპლარის შემთხვევაში, საბიბლიოთეკო მასალა გაიცემა 7 დღის ვადით და ამ ვადის გაგრძელების სურვილის შემთხვევაში ვადის გაგრძელება დასაშვებია დამატებით 7 დღის ვადით. პერიოდული გამოცემებით, პრესით, ჟურნალებით, ენციკლოპედიებით, ლექსიკონებით და CD დისკებით სარგებლობა დასაშვებია მხოლოდ სამკითხველო დარბაზში.

ე) მკითხველს უფლება აქვს ამ დებულებით დადგენილი ბიბლიოთეკით სარგებლობის წესებით განსაზღვრული მისი უფლებების დარღვევის თაობაზე საჩივრით მიმართოს დაწესებულების მართვის ორგანოებს, რაც განხილულ უნდა იქნას 2 კვირის ვადაში.

მუხლი 6. მკითხველის ვალდებულებები და პასუხისმგებლობები

მკითხველი ვალდებულია:

- ა) მკითხველი ვალდებულია გაეცნოს და დაიცვას ბიბლიოთეკით სარგებლობის წესები;
- ბ) გაუფრთხილდეს წიგნებს, ბეჭდვით და სხვა ფონდიდან მიღებულ მასალას და ბიბლიოთეკის ქონებას;
- გ) საბიბლიოთეკო მასალის მიღების მომენტში დეფექტის აღმოჩენისას აცნობოს ამის შესახებ ბიბლიოთეკარს ან ბიბლიოთეკარის ასისტენტს;
- დ) მასალის დაკარგვის ან დაზიანების შემთხვევაში ჩაანაცვლოს იმავე ღირებულებისა და შინაარსის გამოცემით ან გადაიხადოს წიგნის ღირებულების ორმაგი თანხა;
- ე) დროულად და ბიბლიოთეკის მიერ დადგენილ ვადებში დააბრუნოს ბიბლიოთეკის ფონდიდან მიღებული გამოცემები, წინააღმდეგ შემთხვევაში ვერ ისარგებლებს ბიბლიოთეკის მომსახურებით;
- ვ) არ გააკეთოს ფონდებში დაცულ ერთეულებზე ჩანაწერები, არ ამოხიოს ფურცელი, არ გადაკეცოს, არ დააფორმატოს ან სხვაგვარად არ დააზიანოს ელექტრონული მატარებლები;
- ზ) მკითხველის მიერ ბიბლიოთეკით სარგებლობის წესების დარღვევა შესაძლოა გახდეს დამრღვევის მიმართ დისციპლინული წარმოების დაწყების საფუძველი;
- თ) ბიბლიოთეკისათვის მიყენებული ზარალი ექვემდებარება ანაზღაურებას;
- ლ) კატეგორიულად იკრძალება სამკითხველო დარბაზიდან მასალების გატანა ბიბლიოთეკარის ან ბიბლიოთეკარის ასისტენტის ნებართვის გარეშე.

მუხლი 7. დასკვნითი დებულებანი

- ა) ბიბლიოთეკის დებულებას ამტკიცებს რექტორი.
- ბ) ბიბლიოთეკის დებულებაში ცვლილებებისა და დამატებების შეტანა ხდება დაწესებულების რექტორის ბრძანებით.